საგანი - „მუსიკა“

სწავლა-სწავლების მიზნები

საგნის "მუსიკა" სწავლა-სწავლების მიზანია:

- მუსიკის გამოყენება თვითშეცნობის, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებად;
- ჩვენ გარშემო არსებული სამყაროს დანახვა მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროდ;
- მუსიკის ესთეტიკური აღქმისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- თანამედროვე გამოწვევებისა და საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვაში მოსწავლის დახმარება;
- ქართულ (ფოლკლორი, პროფესიული მუსიკა) და მსოფლიო მუსიკალურ მემკვიდრეობასთან ზიარების გზით ეროვნული იდენტობისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბება.

DRAFT

ა) სწავლის შედეგები (დაწყებითი საფეხური)

საგნის „მუსიკა“ ფარგლებში საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნების - „მუსიკის ენა“ გააზრება.

სწავლის შედეგი	**შედეგის მიღწევის ინდიკატორები** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** - მოსწავლემ აცნობიერებს რომ:
(1) მღერის/კომპოზიციის შექმნის/იმპროვიზაციის/ინსცენირების პროცესში მუსიკის გამომსახველობითი ხერხების, ბუნებრივი და ხელოვნური ხმების, სხეულის მოძრაობის გამოყენებით გარკვეული განწყობისა და ემოციური მდგომარეობის გადმოცემა, მხატვრული სახის შექმნა თვითგამოხატვისა და თვითრეალიზებისთვის	➢ მღერის/კომპოზოციის აგების/ იმპროვიზაციის/ინსცენირების პროცესში მუსიკალური ელემენტების, ფორმის და ჟანრის გარკვეულ მდგომარეობასთან, მხატვრულ სახესთან ასოციაციურად დაკავშირება. ➢ მხატვრული სახის შექმნაში მღერის/ კომპოზიციის აგების/ იმპროვიზაციის/ ინსცენირების პროცესში გამოყენებული მუსიკალური ელემენტების, საშემსრულებლო ფორმების და ჟანრის მნიშვნელობის ახსნა; ➢ მღერის, კომპოზიციის აგების, იმპროვიზაციის, ინსცენირების პროცესში თვითგამოხატვის მიზნით შექმნილი საკუთარი და სხვის მიერ წარმოჩენილი მხატვრული სახეების შედარება; ➢ გარკვეული მხატვრული სახის შესაქმნელად ალტერნატიული (შესაძლო) გამომსახველობითი ხერხების, საშემსრულებლო ფორმის, მუსიკალური მიმართულების და ჟანრის განჭვრეტა;	**„მუსიკის ენა“-** მუსიკა უნივერსალური ენაა. ის შეიძლება იყოს ინფორმაციის წყარო, კომუნიკაციის და საზოგადოებაზე ზემოქმედების ძლიერი საშუალება. მუსიკის საშუალებით გადმოიცემა: (ა) ხილული, წარმოსახვითი, ზღაპრულ-ფანტასტიკური სახეები; ბ) ადამიანის გრძნობები, განცდები და ცხოვრებისეული მოვლენები (მაგ., დღესასწაულები, დაბადების დღე, სკოლაში წასვლა, გასეირნება და ა.შ.); გ) შეიძლება სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე და გამოწვევებზე რეაგირება (მაგ., ბუნების მოვლენებზე, ამინდზე, გარემოზე და ა.შ.); დ) შესაძლებელია როგორც შინაგანი, ისე გარემომცველი სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. მუსიკალური ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებას ადამიანის პიროვნება განაპირობებს. მუსიკის ენა არის მუსიკალური ელემენტების, ფორმისა და ჟანრის ერთობლიობა. ის საშუალებას გვაძლევს, ნებისმიერი ხმოვანება (ადამიანის სამეტყველო ინტონაცია, ბუნების მოვლენათა, ცხოველთა, თუ ფრინველთა ხმები და სხვა) გამოვიყენოთ მუსიკალურ-მხატვრული სახის
მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების, ფორმის და ჟანრის მნიშვნელობის გააზრება ნაწარმოების **მხატვრული სახის** შექმნაში, მუსიკით ცხოვრებისეული მოვლენების ინტერპრეტაციისა და შეფასებისათვის.	➢ ანალიზის დროს მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების, ფორმის და ჟანრის ამოცნობა. ახსნა იმისა, თუ როგორ უკავშირებს მუსიკალურ ხერხებს გარკვეულ განწყობას ან ემოციურ მდგომარეობას; ➢ ანალიზის დროს მუსიკალური ხერხებით გამოწვეული ასოციაციების საკუთარ ემოციურ გამოცდილებასთან დაკავშირება, პირადი ცხოვრებიდან მაგალითების არგუმენტად მოყვანა; ➢ საკუთარი მუსიკალური ინტერპრეტაციის დასაბუთება; ➢ მუსიკის გამომსახველობითი ხერხების მხატვრულ სახესთან და გარკვეულ კონტექსტთან დაკავშირების დროს მათი შედარება და განსხვავება; ➢ მუსიკის ანალიზის დროს წარმოჩენილი მხატვრული სახის შესაქმნელად ალტერნატიული მუსიკალური ხერხების განჭვრეტა;	

DRAFT

ქართული ფოლკლორული და პროფესიული მუსიკის ყოველდღიურობის კონტექსტში გააზრება და ინტერპრეტირება ეროვნული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად;	➢ ქართული ფოლკლორული და პროფესიული მუსიკალური მემკვიდრეობის ნიმუშების ჟანრისა და მიმართულების მიხედვით შედარება/განსხვავება; ➢ ქართული ფოლკლორული ან პროფესიული მუსიკალური ნიმუშებით გამოწვეული ასოციაციების საკუთარ ემოციურ გამოცდილებასთან დაკავშირება და პირადი ცხოვრებიდან მაგალითების არგუმენტად მოყვანა; ➢ საკუთარი ემოციების, განწყობის, წარმოდგენების, იდეების, გადმოსაცემად ქართული ფოლკლორული და პროფესიული მუსიკის ნიმუშების გამოყენება; ➢ მხატვრული სახეების წარმოსაჩენად ქართული ფოლკლორული ან პროფესიული მუსიკის გამოყენების სხვადასხვა ხერხის განჭვრეტა.	შექმნისათვის და შევძინოთ მას შინაარსი, რომელიც გარესამყაროდან მიღებული განცდებითა და შთაბეჭდილებებით არის ნაკარნახევი. მუსიკალური ენის ელემენტებია ბგერა/ხმა (აკუსტიკური და ელექტრონული), ტემბრი, რიტმი, მეტრი, ტემპი, დინამიკა, რეგისტრი, მელოდია, ჰარმონია. მუსიკის ენას საკუთარი უნიკალური დამწერლობა გააჩნია. სხვადასხვა ეპოქაში გარკვეული ლოგიკით დალაგებული მუსიკალური ენის ელენტები ქმნის მუსიკალურ ფორმას. **ფორმა** მუსიკალური ნაწარმოების აგებულებაა. მისი სტრუქტურული ერთეულებია: მოტივი, ფრაზა, წინადადება. მუსიკალური ფორმა, ასევე, ნაწარმოების ჟღერადობის ხანგრძლიობას განსაზღვრავს და მის ეტაპებს (დასაწყისი, განვითარება და დასასრული) წარმოგვიჩენს. მუსიკალური ნაწარმოებები დანიშნულების, შინაარსისა და **საშემსრულებლო ფორმის** (ვოკალური და ინსტრუმენტული: სოლო, საანსამბლო; საგუნდო; საორკესტრო) მიხედვით მიეკუთვნებიან სხვადასხვა **მიმართულებას** (ხალხური და პროფესიული, პოპულარული) და **ჟანრს** (სიმღერა, ცეკვა, ინსტრუმენტული პიესა, ბალეტი, ოპერა, მიუზიკლი, მუსიკა თეატრის, კინოსა და ანიმაციისთვის). სამიზნე ცნების „მუსიკის ენა“ გააზრება საფუძველს ქმნის სხვადასხვა სახის ტექსტების წვდომისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარებას (საგანი ვიზუალური ხელოვნება, საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა)
მუსიკალური კომპოზიციის და გარესამყაროს ხმების ჩასაწერად სანოტო დამწერლობის, პიქტოგრამა/მუსიკოგრამის გამოყენება (ჩაწერა, ამოკითხვა), მუსიკის უნივერსალურ ენად გააზრებისთვის	➢ მღერის, კომპოზიციის აგების, იმპროვიზაციისა და ინსცენირების, მუსიკალური ნაწარმოების (ფოლკლორული, პროფესიული) ანალიზის დროს გრაფიკული გამოსახულებების (ტრადიციული სანოტო დამწერლობა/პიქტოგრამა/ მუსიკოგრამა) გამოყენება; ➢ მუსიკალური ნაწარმოების გრაფიკული გამოსახულების (მისი ვიზუალური მხარე) გარკვეულ ემოციასთან, განწყობასა თუ ვიზუალურ სახესთან ასოციაციურად დააკავშირება და საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არგუმენტების მოყვანა; ➢ მუსიკალური ნაწარმოებების გრაფიკული გამოსახულებების შედარება და მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტთან მათი დაკავშირება; ➢ მუსიკალური ფრაგმენტის ალტერნატიული გრაფიკული ვარიანტებით გამოსახვა;	

DRAFT

DRAFT

ბ) თემატური ბლოკები:

I-VI კლასებისთვის მოცემულია ხუთი სავალდებულო თემატური ბლოკი. თემატური ბლოკებიდან იკვეთება კონკრეტული თემები (მაგალითად, თემატური ბლოკი „მუსიკა და კინო“ შეიძლება იქნას წარმოდგენილი თემებით: „მუსიკა საყმაწვილო კინოსა და ანიმაციაში, „მუსიკა მუნჯ კინოში“; „მუსიკა ხმოვან კინოში“ და ა.შ.), რომლების ფარგლებში ხდება საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებზე მუშაობა. თემატურ ბლოკებზე / თემებზე მუშაობა მიმდინარეობს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების მაგალითების გამოყენებით.

თემატური ბლოკი	**თემატური ბლოკის აღწერილობა**
გარესამყარო მუსიკაში	თემატური ბლოკი გულისხმობს მოსწავლის ირგვლივ წარმოდგენილი ლოკალური გარემოს მუსიკის საშუალებით აღწერას.
მუსიკა და ჩვენი ყოფა	თემატური ბლოკი გულისხმობს ყოველდღიური ცხოვრების მუსიკის საშუალებოთ წარმოჩენას, (მაგალითად, როგორ შეიძლება მუსიკის საშუალებით აღიწეროს ერთი ჩვეულებრივი დღე, ან დღის განმავლობაში მომხდარი საინტერესო, სასიხარულო მოვლენები)
რეალური და წარმოსახვითი სამყარო მუსიკაში	თემატური ბლოკი გულისხმობს მუსიკაში რეალური და ადამიანის ფანტაზიით შექმნილ სამყაროს ასახვას.
მუსიკა და კინო	თემატური ბლოკი გულისხმობს უხმო თუ ხმოვან კინოში მუსიკის როლის წარმოჩენას.
მუსიკა და თეატრი	თემატური ბლოკი გულისხმობს დრამატულ და მუსიკალურ თეატრში მუსიკის როლის წარმოჩენას

დაზუსტება: თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეულ უნდა იქნას საკითხი, რომელიც უკავშირდება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

- მუსიკით აღწერა
- მუსიკით თხრობა
- მუსიკით ემოციის გადმოცემა
- მუსიკით განწყობის შექმნა

DRAFT

ა) სწავლის შედეგები (საბაზო საფეხური)

საგნის „მუსიკა“ ფარგლებში საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების **- „მუსიკალური შინაარსი“, „მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები“, „მუსიკალური ეპოქა“** ურთიერთდაკავშირებული გააზრება.

სწავლის შედეგი	**შედეგის მიღწევის ინდიკატორები** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** - მოსწავლე აცნობიერებს რომ:
(1) მღერის / კომპოზიციის / იმპროვიზაციის საშუალებით მუსიკალური შინაარსის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან კავშირის გააზრება თვითგამოხატვისა და თვითრეალიზებისთვის	➢ მღერის, კომპოზიციის აგების, იმპროვიზაციის პროცესში მუსიკალური შინაარსის - ემოციური, სახოვანი და სიმბოლური - ცხოვრებისეულ კონტექსტთან ასოციაციურად დაკავშირება; ➢ მღერის, კომპოზიციის, იმპროვიზაციის, მუსიკალური ანალიზის მეშვეობით გადმოცემული ემოციური, სახოვანი და სიმბოლური მუსიკალური შინაარსის და ცხოვრებისეულ კონტექსტთან მისი კავშირის ახსნა ; ➢ მუსიკალური გამომსახველობითი ხერხებით, მღერით/კომპოზიციით/იმპროვიზაციით გადმოცემული მუსიკალური შინაარსის - ემოციურის, სახოვანის ან სიმბოლურის - დასაბუთება; ➢ მღერის/კომპოზიციის/იმპროვიზაციის საშუალებით გადმოცემული სხვადასხვა მუსიკალური შინაარსის შედარება/განსხვავება; ➢ ემოციური, სახოვანი და სიმბოლური მუსიკალური შინაარსის გადმოცემის	<u>სამიზნე ცნება **„მუსიკალური შინაარსი“**</u> - მუსიკალურ შინაარსს წარმოადგენს ადამიანის ესთეტიკური გრძნობები და განცდები, რომელიც გარესამყაროსგან მიღებული შთაბეჭდილებებით არის ნაკარნახევი. მუსიკა გამოხატავს ადამიანის სიხარულს და მწუხარებას, ასახავს მოვლენებს ხალხის ცხოვრებიდან, ისტორიული წარსულიდან, გადმოგვცემს ხილულს და უხილავს, რეალურს და ფანტასტიკურს. მუსიკალური ნაწარმოების შინაარსი გამომსახველი ხერხებით გადმოიცემა, მაგრამ არსებითია ის, თუ რა მხატვრულ სახეებს დაუკავშირებს მათ თავად მსმენელი. მუსიკის შინაარსი, გამომსახველობითი ხერხების საშუალებით წარმოქმნილი ემოციების თუ ასოციაციების ერთობლიობით ყალიბდება. მუსიკალურ შინაარსის სამ ასპექტს განიხილავენ: (1) ემოციური - მუსიკალური ენის გამომსახველი ხერხები, რომელიც ჩვენში გარკვეულ განცდას ქმნის (მაგალითად, გრძნობების გამომხატველი ინტონაციები, ცვალებადი რიტმული ნახაზი, მკვეთრი დისონანსური, ან მშვიდი კონსონანსური ჰარმონია); (2) სახოვანი/ხატოვანი - მუსიკალური ენის გამომსახველობითი ხერხები, რომელიც ჩვენში გარემოს ხმებთან არსებულ, თუ ადამიანის ფანტაზიით შექმნილ სახეებთან, ასოციაციას ბადებს (მაგ., ხმაბაძვითი, ბგერწერითი ინტონაციები); (3) სიმბოლური - მუსიკალური ენის გამომსახველობითი ხერხები, რომლებსაც კონკრეტული მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული და ერთგვარ მუსიკალური კოდს წარმოადგენენ (მაგალითად,, რიტორიკული ფიგურები, ლაითმოტივი, მუსიკალური ციტატა). მუსიკალური ნაწარმოების შინაარსის ამოკითხვაში გვეხმარება სტანდარტული (სანოტო დამწერლობა) და არასტანდარტული (პიქტოგრამა, მუსიკოგრამა) გრაფიკული გამოსახულებები. სამიზნე ცნების „მუსიკალური შინაარსი“ გააზრება მოსწავლეს საფუძველს უქმნის სხვადასხვა სახის ტექსტების (ლიტერატურული ნაწარმოებები, ისტორიული წყაროები და სხვ.), ასევე სახვითი ხელოვნების ნიმუშების (ფერწერა, გრაფიკული თუ გამოყენებითი ხელოვნება, სკულპტურა, არქიტექტურა) შინაარსში წვდომას და ინტერპრეტირებას.

DRAFT

	ალტერნატიული ხერხებისა და კონტექსტების განჭვრეტა.	
(2) ქართული (ფოლკლორული თუ პროფესიული) და სხვა მსოფლიო მუსიკალური კულტურის ნიმუშების გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების როლის განსაზღვრა კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გასააზრებლად	➢ ქართული და სხვა მსოფლიო მუსიკალურ ნიმუშებში გამოყენებული გამომსახველობითი ხერხების (ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი) ანალიზი და მათი როლის და მნიშვნელობის წარმოჩენა მხატვრული ჩანაფიქრის გააზრებისთვის; ➢ მუსიკალური ნიმუშების გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების შედარება, ქართული ან სხვა მსოფლიო მუსიკალური კულტურისთვის მიკუთვნება, მათ შორის მსგავსება-განსხვავების გააზრება; ➢ ქართული და სხვა მსოფლიო მუსიკის ნიმუშების ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების კონტექტსთან დაკავშირება, მათში გამოყენებული გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების შედარება; ➢ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მხატვრული სახის	<u>სამიზნე ცნება **"მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები"**</u> – მუსიკალური ნაწარმოების შინაარსი იქმნება მუსიკალური ენის ელემენტების (ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის), ფორმის და ჟანრისა ერთობლიობით. თითოეულ მათგანს საკუთარი გამომსახველობითი შესაძლებლობები აქვს და მონაწილეობს რაიმე მოვლენის, მხატვრული სახის, ადამიანის ემოციური მდგომარეობის გადმოცემაში; მუსიკით განწყობის შექმნაში. - მუსიკაში **ბგერის** თვისებები - სიმაღლე. გრძლიობა, სიძლიერე და ტემბრი დიდ როლს თამაშობს ნაწარმოების ემოციური მუხტის, განწყობის, მრავალფეროვანი წარმოსახვებისა და ასოციაციების შექმნაში. მუსიკალური შინაარსის შექმნაში/გადმოცემაში ბგერის მიღების ხერხებიც (legato, marcato, staccato, pizzicato, plageolet, sforzando, tremolo) მონაწილეობენ. თანამედროვე მუსიკაში ტექნოლოგიების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ბგერის სინთეზირება, ახალი, უჩვეულო ტემბრალური ჟღერადობების მიღება, რამაც გააფართოვა ბგერის გამომსახველობითი შესაძლებლობები, მისი გრაფიკული გამოსახვის ხერხები; - **რიტმი** მუსიკაში ერთგვარ წესრიგს ამყარებს. რიტმული ნახაზის ნაირგვარი სახეები (მაგალითად, თანაზომიერი, აქცენტირებული, პუნქტირული, სინკოპირებული), რომლებიც სხვადასხვა გრძლიობის ბგერების ორგანიზებული მონაცვლეობით იქმნება, მუსიკას დინამიკას სძენს. რიტმს მუსიკაში დამოუკიდებლად არსებობაც შეუძლია; - **მელოდია** ნაწარმოების დასრულებულ აზრს გადმოსცემს. ის კომპლექსური მოვლენაა. მასში შერწყმულია მუსიკალური ენის ყველა ელემენტი. მელოდიას განსაკუთრებულ შინაარსს სძენენ გამომსახველი მუსიკალური ინტონაციები (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, შიშის, აღტაცების, მოწოდების, სევდის, ჩივილის, მრისხანების სა სხვ.) და ბგერწერითი ინტონაციები. შინაარსობრივ გამომსახველობას უკავშირდება სხვადასხვა სახის მელოდიური სვლები- აღმავალი, დაღმავალი, ტალღისებური, მდორე დიატონური და ქრომატიული, ნახტომისებური და ა. შ.. თავისი გამომსახველობითი ბუნების წყალობით, მელოდიური ინტერვალებიც მუსიკალურ ინტონაციებად გვევლინებიან;

DRAFT

	შესაქმნელად ალტერნატიული მუსიკალური ხერხების განჭვრეტა ;	- **ჰარმონიას,** როგორც ბგერათა თანაჟღერადობას აკორდში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკის გამომსახველ ხერხებს შორის. აკორდს, აკორდთა თანმიმდევრობას, ტონალობას, ინტერვალს, რომლებიც მძაფრ დისონირებულ თუ რბილ კონსონირებულ ჰარმონიას ქმნიან, თავისი განუმეორებელი ჟღერადობა, ფერადოვნება, ფერი გააჩნიათ. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განწყობის შექმნაში, ემოციის გადმოცემაში. - მუსიკალური **ფორმა,** და მისი სტრუქტურული ერთეულები (მოტივი, ფრაზა, წინადადება), სხვადასხვა ეპოქაში ჩამოყალიბებული ფორმის ნაირსახეობები, (მცირე და მსხვილი მუსიკალური ფორმები - პერიოდი, ორ და სამნაწილიანი, კუპლეტური, რონდოს, სონატური, ვარიაციული, ციკლური და სხვა.), წარმოადგენენ ნაწარმოების მხატვრული შინაარსის გადმოცემის საშუალებას. მუსიკალური ფორმა, ასევე, განიხილება, როგორც პროცესი, რომელიც ნაწარმოების ჟღერადობის ხანგრძლიობას განსაზღვრავს და მის ეტაპებს (დასაწყისი, განვითარება და დასასრული) წარმოგვიჩენს. - **ჟანრი** განსაზღვრავს მუსიკალური ნაწარმოების სახეობას (ინსტრუმენტული, ვოკალური, მუსიკალურ-თეატრალური და სხვა), მის შინაარსს, დანიშნულებას, სოციალურ ფუნქციას და საშემსრულებლო შემადგენლობას. მუსიკალური ჟანრები, თავისი სტილისტური და კომპოზიციური თავისებურებით, მუსიკის გამომსახველობით შესაძლებლობებს აფართოვებს. სამიზნე ცნების „მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები“ მოსწავლეს საფუძველს უქმნის ვიზუალური ხელოვნების ნიმუშებში გამომსახველობითი ხერხების მნიშვნელობის აღქმას
(3) განსხვავებული ეპოქების მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი, მათი სხვადასხვა კონტექსტში განხილვა და ინტერპრერტაცია სამყაროში (ბუნებაში, საზოგადოებაში) მიმდინარე პროცესების გასააზრებლად	➢ მუსიკალური ნაწარმოების მხატვრულ გამომსახველობით ხერხებში ასახული სხვადასხვა მუსიკალური ეპოქის ესთეტიკური პრიორიტეტების ახსნა; ➢ თემით განსაზღვრულ კონტექსტში, სხვადასხვა მუსიკალური ეპოქის ნიმუშების მხატვრულ - გამომსახველობითი ხერხების შედარება; ➢ მუსიკალური ენის განვითარების ეტაპების სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე საზოგადოებრივ და ტექნოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირება;	<u>სამიზნე ცნება **"მუსიკალური ეპოქა"**</u> – ადამიანი, მისი პიროვნული თვისებები, სულიერი სამყარო, სოციალური მდგომარეობა და ცხოვრება აისახება სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის მუსიკაში უძველესი დროიდან დღემდე, მრავალფეროვანი მუსიკალური გამომსახველი საშუალებებითა და საშემსრულებლო ხერხებით, მუსიკალური ფორმებითა და ჟანრებით, თანამედროვე ტექნოლოგიებით. მუსიკალური ეპოქები მოიცავენ დროის გარკვეულ პერიოდებს, რომელთა ფარგლებში ყალიბდება მუსიკალური ხელოვნების მიმართულებები და მიმდინარეობები. თითოეულ ამ პერიოდს აქვს თავისი უნიკალური თვისებები, თემატიკა, სტილი, მხატვრული ფორმები და ჟანრები, გამოსახველობითი ხერხები და შემოქმედებითი მიდგომები. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ მუსიკალურ ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები, უკეთ გავიგოთ მუსიკალური ნაწარმოებების მხატვრული იდეა და შინაარსი, გავეცნოთ მუსიკალური გამომსახველობის უსაზღვრო მრავალფეროვნებას, ჩავწვდეთ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის თავისებურებებს. ყველა ეპოქაში მუსიკას თავისი დანიშნულება აქვს, რაც განაპირობებს მუსიკის სხვადასხვა მიმართულებას: საერო და სასულიერო, პროფესიული და ხალხური, აკადემიური და პოპულარული.

DRAFT

	➢ მუსიკალური სტილიზაციის მიზნით მუსიკალური ეპოქისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების განჭვრეტა;	სამიზნე ცნების „მუსიკალური ეპოქა“ გააზრება მოსწავლეს საფუძველს უქმნის ისტორიული ეპოქის მრავალმხრივად აღქმას ხელს შეუწყობს ისტორიისა და სახვითი ხელოვნების შინაარსების სიღრმისეულ გააზრებას (ისტორია სამიზნე ცნებები „დრო (ისტორიული პერიოდი)“, „საზოგადოება“; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამიზნე ცნება "სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნება").

DRAFT

ბ) თემატური ბლოკები:

VII-X კლასებისთვის მოცემულია სამი სავალდებულო თემატური ბლოკი. თემატური ბლოკებიდან იკვეთება კონკრეტული თემები (მაგალითად, თემატური ბლოკი „ადამიანი და მუსიკა“ შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგი თემებით: „მარტოობის თემა მუსიკაში“; „სიყვარული თემა მუსიკაში“; „გმირი და ანტიგმირი მუსიკაში“; თავისყფლების თემა მუსიკაში“ და ა.შ.), რომლის ფარგლებში ხდება საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებზე მუშაობა. თემატურ ბლოკებზე / თემებზე მუშაობა მიმდინარეობს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების მაგალითების გამოყენებით.

თემატური ბლოკი	**თემატური ბლოკის აღწერილობა**
ადამიანი და მუსიკა	თემატური ბლოკი გულისხმობს მოზარდის ემოციური მდგომარეობის (მაგალითად, სიმარტოვის შეგრძნება, სიყვარული, ლიდერობისკენ სწრაფვა) მუსიკის საშუალებით წარმოჩენას.
მუსიკა და საზოგადოება	თემატური ბლოკი გულისხმობს სოციალური პრობლემებისა და პროცესების (მაგალითად, ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, ქვეყნის სიყვარული) ხალხური და პროფესიული მუსიკის საშუალებით წარმოჩენას.
მუსიკა და სამყარო	თემატური ბლოკი გულისხმობს სამყაროს შესახებ წარმოდგენების (მაგალითად, როგორ აღიქვამს და შეიმეცნებს ადამიანი სამყაროს, რა არის ბუნებრივი და რა ხელოვნური) წარმოჩენას მუსიკის საშუალებით.

DRAFT